წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 10

ქ. წალკა; 30.04.2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 10:30 საათზე;
სხდომა დასრულდა: 10:45 საათზე;

დღის წესრიგი:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის #21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მომართვა „ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის“ პროექტის ფარგლებში თეთრიწყარო - წალკის სარკინიგზო უბნის დერეფანში მშენებლობისათვის საჭირო წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის #21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის #21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეტანილ იქნეს საკრებულოს მ/წლის 30 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მომართვა „ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის“ პროექტის ფარგლებში თეთრიწყარო - წალკის სარკინიგზო უბნის დერეფანში მშენებლობისათვის საჭირო წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის მერიას განიხილოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მომართვა და საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინოს წერილობითი პოზიცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*